

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების დამატებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	6
2. მომზადების საფუძვლები -----	6
3. შეფასების საფუძვლები -----	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები -----	12
5. მარაგები -----	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	12
7. ძირითადი საშუალებები -----	12
8. გრძელვადიანი სესხები -----	13
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები -----	14
10. შემოსავალი -----	14
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -----	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი -----	14
13. სხვა ხარჯები -----	14
14. ფინანსური შემოსავალი -----	15
15. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ -----	15
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები -----	15

შპს „პრაიდი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი	10	731 613	2 386 606
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(91 755)	(690 355)
საერთო მოგება		639 858	1 696 251
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(573 339)	(411 737)
სხვა ხარჯები	13	(2 192 069)	(130 713)
საოპერაციო მოგება		(2 125 550)	1 153 801
ფინანსური შემოსავალი	14	4 140 182	135 002
ფინანსური ხარჯი		(107 776)	(75 116)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		12 828	35 407
მოგება დაბეგვრამდე		1 919 684	1 249 094
მოგების გადასახადი		-	(48 297)
მთლიანი შემოსავალი		1 919 684	1 200 797

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 07 ივნისს

დირექტორი - ნოშრევან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3 503 974	5 141 952
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 503 974	5 141 952
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	4	1 510	342 414
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	6	622 819	495 456
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მარაგები	5	432 957	140 827
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 057 286	978 697
სულ აქტივები		4 561 260	6 120 649
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		209 000	304 600
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		2 551 723	632 039
სულ კაპიტალი		2 760 723	936 639
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1 702 884	1 934 394
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 702 884	1 934 394
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	93 716	3 238 788
საგადასახადო ვალდებულებები		3 937	10 828
სულ ვალდებულებები		1 800 537	5 184 010
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 561 260	6 120 649

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 07 ივნისს

დირექტორი - ნომრეკან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

ენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს „პრაიდი“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	(295 074)	(295 074)
წმინდა მოგება	-	1 200 797	1 200 797
კაპიტალის ზრდა	304 600	-	304 600
გაცემული დივიდენდი	-	(273 684)	(273 684)
2020 წლის 31 დეკემბერი	304 600	632 039	936 639
წმინდა მოგება	-	1 919 684	1 919 684
კაპიტალის ზრდა	(95 600)	-	(95 600)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	209 000	2 551 723	2 760 723

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 07 ივნისს


დირექტორი ნოშრევან ლიპარტელიანი


ბუღალტერი ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	1 919 684
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის	1 315 849
ცვეთა	98 172
გადასახადები	-
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	1 204 848
(შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	12 828
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(3 579 330)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(127 362)
მარაგები	(292 131)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(3 145 072)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(14 765)
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(343 797)
დარიცხული პროცენტები	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(343 797)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	
ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(578 727)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	1 016 506
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	437 779
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(95 600)
გადახდილი მოგების გადასახადი	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	346 916
სასესხო ვალდებულების დაფარვა	(578 427)
გადახდილი დივიდენდები	-
გადახდილი პროცენტები	(107 776)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(434 887)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების სხვაობა	(340 905)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	342 414
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1 510

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 07 ივნისს

დირექტორი - ნომრეკან ლიპარტელიანი

ბუღალტერი - ნუნუ ლიპარტელიანი

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პრაიდი“ (შემდგომში კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვაკე-საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის დაღმართი #6, თბილისი საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები), საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა და გადაზიდვის მომსახურება. კომპანია ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის ნოშრევან ლიპარტელიანი.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაპროვოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანად დამოკიდებულია როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და საღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მომზადდა მსს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულის პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის. კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით. ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახვას, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შეფასების საფუძვლები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებისა და დაგროვილი ცვეთას ასევე არსებობის შემთხვევაში გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე გადანაწილების მიზნით, შემდეგნაირად:

სასარგებლო ვადა (წელი)

შენობები	30-50
მანქანა-დანადგარები	15
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია, თუ ამგვარი ნიშანი არსებობს ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა ფუდვილისა. გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისთვის (აქტივთა ჯგუფისთვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოვლი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღრებულებებს, რათა განსაზღვროს ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). ფინანსურ ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი, პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სასაქონლო და მატერიალური მარაგები

სასაქონლო და მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო და მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო და მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანაპორტირებასთან, პირდაპირ სახელფასო დანახარჯებთან.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალში ეკონომიკური სარგებელის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად სააღრიცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ანარიცხები იზომება პრე - საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახვას ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

შემოსავლის აღიარება

საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადაცემს საქონლის და მომსახურების ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სერგებელს და ასევე როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. თუ შემოსავალი უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული შემოსავლის თანხის კორექტირება.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციის იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გავვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგება ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

მოგების გადასახადი

საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მოგების გადასახადი წარმოიშობა არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდების გაცემა.

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული სალაროში	87	3
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,422	342,411
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,510	342,414

5. მარაგები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქცია	-	-
ნედლეული	432,957	140,827
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
სულ მარაგები	573,784	140,827

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	390,019	271,404
გადახდილი ავანსები	232,800	224,052
სხვა მოთხოვნები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	622,819	495,456

7. ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარე ბი	ავჯი და სხვა ინვენტარი	სამშენებლო ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	ჯამი
2020 წლის ბოლოს	2,761,869	1,765,195	42,214	263	2,347	570,064	5,141,952
შესყიდვა	-	519,682	7,590	5,429	9,676	109,575	651,952
გასვლა	- 1,963,081	-	-	-	-	228,676	2,191,757
პერიოდის ცვლათ	- -	30,460	- 8,985	- 1,263	- 1,981	- 55,482	98,171
2021 წლის ბოლოს	798,788	2,254,417	40,819	4,429	10,041	395,481	3,503,975

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყო

8. გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ბანკის სესხები	1,702,884	1,934,394
სულ სესხები	1,702,884	1,934,394

სესხის ხელშეკრულება:

1. # 2019-12-19/N6530085 , რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს საქართველოს ბანკს შორის ძალაშია 2029 წლის 10 დეკემბრამდე. სესხის თანხა 650 000 ევრო, საპროცენტო განაკვეთი წლიური 5,5 %, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1 374 361 ლარს. სესხი აღებულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით.

2. # 2021-08-02/N7411524 , რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს საქართველოს ბანკს შორის ძალაშია 2027 წლის 01 აგვისტომდე. სესხის თანხა 100 000 ევრო, საპროცენტო განაკვეთი წლიური 5,5 %, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 328 523 ლარს. სესხი აღებულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით.

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	26,820	89,538
გადასახდელი ხელფასები	8,102	1,743
მიღებული ავანსები	58,795	3,147,506
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	93,716	3,238,788

10. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონლის რეალიზაცია	68,773	59,261
მომსახურება	662,840	609,485
უძრავი ქონების რეალიზაცია	3,890,113	1,717,860
სულ შემოსავალი	4,621,726	2,386,606

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქციის თვითღირებულება	44,899	28,590
ნედლეულის თვითღირებულება	46,857	92,409
მომსახურების თვითღირებულება	-	569,356
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	91,755	690,355

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შრომის ანაზღაურება	250,990	110,597
იჯარის ხარჯი	-	-
კომუნალური ხარჯი	101,144	21,481
ცვეთა და ამორტიზაცია	98,172	73,762
ბანკის მომსახურება	1,883	4,339
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	121,150	201,556
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	573,339	411,737

13. სხვა ხარჯები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხზე დარიცხული ჯარიმა	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,192,069	130,713
სულ მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	2,192,069	130,713

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პრაიდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

14. ფინანსური შემოსავალი

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
სხვა ფინანსური შემოსავალი	-	4,140,182	-	135,002
სულ ფინანსური შემოსავალი	-	4,140,182	-	135,002

15. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

ფინანსური რისკ(ებ)ი მოიცავს: საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო (საპროცენტო, სავალუტო)

საკრედიტო რისკი: რისკი იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე დროულად არ/ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას და კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

საბაზრო რისკი: წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

საპროცენტო რისკი: კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი, კომპანიის ვალდებულებებზე მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი ამდენად რისკი მცირეა.

სავალუტო რისკი: რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხი აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მხოლოდ ლარში, ხოლო ფინანსური ვალდებულებები როგორც ლარში ასევე ვალუტაში (აშშ დოლარი)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგებაში

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.